

ჯარის ნაწი-  
ლებს უფასოდ  
ეგზავნებათ.

28 ნოემ. 1920 წ.

# მხედარი


გერმანული  
ბიზნისი

ფასი 25 მან.

№ 26

მრგანო სამხ. სამინ. კულტ.-განათლ. საქმისა.

№ 26



აკაკი ჩხენცელი,

დამფუძნებელ კრების წევრი, სოც.-დე-  
მოკრ. ფრაქციის თავმჯდომარე და თავ-  
დაღვის კომიტეტის თავმჯდომარე.

მაგისტრ.	№	_____
კაბინ.	№	_____
ცენტრ.	№	_____
საგარეო.	№	_____
საინტ.	№	9770

# „წითელი“ ქვეალი.

რევოლუციის დაუდგომელი ტაღლებმა ცხოვრების ზედა პირზე ამოატივტივა ბევრი არა მკითხველი ჭირისუფლები, და დრო მოკმული „გმირები“. ისინი ლამობენ ცხოვრების წინსვლა შეაჩერონ, პატარა ერებს ხელიდან გამოსტაცოს რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება და გახადოს სხვისი ნების აღმსრულებლათ სხვის საწველ ფურათ. ისტორიამ თავის მიუდგომელი სიტყვა სთქვა და ქართველ ერსა დამოუკიდებლობა არგუნა ქართველმა რევოლუციონერმა დემოკრატამ დამოუკიდებლობის სრული შეგნებით შექმნა თავისი სახელმწიფო, ააგო საკუთარი კერა, და შეუდარებელი ნიჭით და გასკეცებული ენერჯით შეუდგა შიგნით აღმშენებლობითი მუშაობას. ქართველმა დემოკრატამ, თავისი მთავრობის გონივრული პოლიტიკით, დასძლია მრავალ დაბრკოლებებს შიგნით და გარედ ყოველივე ნაბიჯი გადადგმული ერის საკეთილდღეოთ სრული გამარჯვებით გვირგვინდებოდა. მაგრამ დახეთ უბედურებას, დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, გაგვიჩნდენ ურიცხვი მტრები და ორგულნი, შიგნით და გარეთ, რომლებიც არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ კი ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის წესი აეგია. ასეთი დემონისტური განძრახვებით—გულღვარძლიანობით არა ერთხელ გვიღალატეს მუხანათმა მტრებმა შიგნით და გარეთ, მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა გვარდიამ და ჯარმა სასტიკათ დაამარცხა თავხედი მტერი.

ჩვენ კარგათ ვიცოდით რომ გარეშე მტერს იარაღი არ დაუყრია, პირიქით გაორკეცებული ენერჯით დაუღალავათ მუშაობდნენ, ჩვენი დამოუკიდებლობის საწინაღმდეგოთ. გაჟღინთეს ჰაერი ჩვენს გარშემო შხამითა და გესლით. შურითა და მტრობით მოწამლული ჰაერი დამძიმდა და ძირს დაეშვა, სისხლიანი ხელებითა ქემალის სახით სამხრეთიდან გვემუქრება. ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაზე ქემალის ჯარმა გამანადგურებელი იერიში მოიტანა სომხების დემოკრატია შეებენ საბედისწერო ომში, და უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა.

ამ ომის პროცესში ქემალს არც ჩვენ ვყავდით დავიწყებული, ჩვენთანაც აწარმოებდა ომს, მაგალითად: ახალ-ქალაქში, ახალ-ციხეში, ბათუმის ოლქში, მთელი აჭარა-ქობულეთის მიდამოები, პროკლამაციებით მოფინეს ქემალის აგენტებმა და საზოგადო პრაფაკაციას ეწეოდნენ ჩვენს მოძმე ქართველ

მუსულომანებში, ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოთ: „გამხნეველით ცოტა კიდევ მოითმინეთ, და ჩვენ მოვალთ და დაგინსნით, საქართველოს მთავრობის კლანჭებისაგანო, რომლებმაც მაგრათ ჩასტიდეს თავისი კლანჭები თქვენს თავისუფალ ცხოვრებას და რჯულის და სარწმუნოების წართმევით გემუქრებათო და სხვა.“

მკითხველი—რა თქმა უნდა დაინახავს ქემალის ასეთ უტიფარს პრაფაკაციაში, გამოსქვივის მისი იმპერიალისტური ფაშური სულისკვეთება. მას გულზე ლახვარივით ესობა საქართველოს დამოუკიდებლობა, და მასთან საქართველოს რესპუბლიკის უღაფო ტერიტორიის, სადაც ქართველი მუსულომანებია დასახლებული.

ღიას, ქემალი ჩვენი დაუძინებელი მტერია, ის შეეცლება მოხერხებული დრო იპოვოს და თავის რეაქციონურ განძრახვებს ხორცი შეასხას, და ჩვენზედ გამოკლასქროს, მიუხედავათ იმისა რომ მისი ლაპარაკის კილო ვითომ კეთილ-მეზობლურია ჩვენდამი, მაგრამ ეს აშკარა არის რომ ყველა ეს შედეგი არის ჩვენი სამხადისის და სამხედრო ძალთა განწყობილების.

ჩვენს მტრებს, ერთხელ და სამუდამოთ დაუმტკიცებთ რომ, ქართველი მშრომელი დემოკრატია და მუშები მუდამ იყო და არის დამცველი თავისი სუვერენიული უფლებისა, ქართველი გათვითცნობიერებული ერი მუდამ იყო ღია სუფლების მებაირახტრე და დღეს უკვე მოპოვებულს თავისუფლებას არავის არ დაუთმობს. ჩვენი სასიქადულო სარდლობა, სახელოვანი გვარდია და ჯარი თავის ამოწვდილ ხმაღს ნაწრთობს რევოლუციის და მუდმივი ბრძოლის ქურაში, არ ჩააგებს სამარცხვინოთ,—ეს ჩვენს მხედრობას არ სჩვევია ქართველი ერი ან სულ გასწყდება ან დაცავს თავის ადამიანურს უფლებებს. ქართველი ერი დღეს სრულუფლებიანი მოქალაქეა და რაზედაც მოქალაქეს აქვს უფლება ქართველ ერსაც უნდა ქონდეს.


ჯ. კ. ვლ. დუმბაძე.

## ს ა დ ე ი ს ო .

1.

საქართველოს ისტორია რამოდენიმეთ და თითქმის სანახევროთაც ომებისა და ბრძოლების ისტორიაა.

იმ თავითვე მრავალი მტრის პატრონი ვიყავით ზოგჯერ ძლიერის, ზოგჯერ სუსტის.



საქართველოს ტერიტორია მუდმივი ბრძოლის ველი იყო, რომელიც გაბოხიერებულია ჩვენი წინაპრების ძვლებითა და სისხლით.

ქართველ ერს მრავალ რიცხოვან მტრების წყალობით სამოქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის იშვიათად მოუძლია და როდესაც მოუძლია, როგორც მაგალითად თამარ მეფის ხანაში დიდი ნიჭიც გამოუჩენია.

ჩვენ გამარჯვებაც ბევრი გვინახავს გმირობითა და ვაჟკაცობით მოპოვებული, მაგრამ ზოგჯერ ეს თვისებებიც ვერაფერს გამხდარა და დაემარცხებულა ვართ.

და ყოველთვის ჩვენ მაშინ ვმარცხდებოდით როდესაც შინ ერთსულოვნება ირღვეოდა და მომდგარ მტრის წინ საქართველოს ერთი კუთხე მეორე კუთხეს ეომებოდა.

მაგრამ ერთი კია, საქართველოს ლეჩაქი არასოდეს მოუხდია და მტრისთვის სისუსტე და სიძაბუნე არ უჩვენებია, მტრის ძლიერებას არასოდეს არ შეფრიგებია, მის წინაშე არასოდეს ქედი არ მოგვიხრია და ზოგჯერ ხდებოდა რომ ათჯერ და ოცჯერ ძლიერ მტერს ვამარცხებდით.

სამშობლოს სიყვარული გვაკაჟებდა ყოველთვის და ამ სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში რაინდათ გვხდოდა.

მით უმეტეს დღეს უნდა იყვეს ჩვენში სამშობლოს სიყვარულის ძლიერი გრძნობა, დღესაც, როდესაც თავისუფალი და მშრომელთა შეუფერხებელი სამშობლო გვაქვს.

მტერი არც დღეს გვასვენებს. რიგ-რიგობით ხან ერთი შემოგვესევა და ხან მეორე. გუშინ თუ დენიკინი და ბოლშევიზმი გვემუქრებოდა, დღეს ქემალ ფაშას აღუმართავს ჩვენს წინაშე იარაღი.

ეს მტერი ყველაზე უსაზიზღრესი და უსაძაგლესი მტერია და ამავე დროს ყველაზე სუსტიც. ქემალ ფაშების ბანდებსა და მის წინაპრებს არა ერთხელ გამოუღალაშქრებიათ საქართველოს წინააღმდეგ და ვერასოდეს მიზნისათვის ვერ მიუხწევიათ და მით უმეტეს ეხლა ვერ მიახწევენ.

მტერს, როგორც სჩანს არ ეყო წარსულში შიცემული გაკვეთილები და ცხოვრებისაგანაც ვერაფერი უსწავლია. ის იოლი გამარჯვებით გათამამებული პრეტენზიებს აცხადებს ჩვენი სამშობლოს ზოგიერთ კუთხეებზე.

ბათუმის შეერთების დროს ჩვენს მთავრობას ანგორის მთავრობამ პროტესტი განუცხადა და მას შემდეგ მართალია პირში წყალს იგუბებს და სღუშს, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით თუ რა ზრახვებიც აქვს

მას და ჩვენი მთავრობაც მიზანშეწონილად იქცევა, როდესაც სამხედრო მზადებაშია.

ვიცნობთ მტერს, გვესმის მისი ძლიერება და დღევანდელი დუმილისა და ოსმალური თაღობით საქართველოს ვერ მოატყველებენ.

ამხანაგებო, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს ჩვენი მოვალეობა ჩვენი თავისა და ჩვენი სამშობლოს წინაშე. ნურავის ნუ ჰგონია და ნურავინ თავს ნუ მოიტყველებს შინ რომ დავსხდეთ ამით ომსა და ბრძოლას თავს დავახწევთ. მაშინ მტერი შინ გაგვიმართავს ომს, ბრძოლას და იქ სათითაოდ ამოგვწყვეტს, ჩვენ თვალ წინ ჩვენს მშობლებს შეურაცყოფას მიაყენებს, დებსა და ცოლებს გააუბატოურებს, ქონებას გაგვიჩანავებს და სხვა. ამიტომაც საზღვარზე უნდა ვიდგეთ რომ მტერი აქეთ არ გამოუშვიათ და მით ჩვენ ქვეყანას აკლდება და აოხრება თავიდან ავაცილოთ.

ჩვენი წინაპრების ძველი რაინდული თვისება ისევ უნდა გაცოცხლდეს ჩვენში და მტერს ჩვენს მამულის არც ერთი მტკაველი არ უნდა დავანებოთ, რომელიც უხვათაა მოწყული ჩვენი წინაპრების სისხლითა და გაბოხიერებული მათი ძვლებით.

მრავალ მტრის დამძლევნი დავძლევთ ქემალ ფაშასაც და მით ერთხელ კიდევ ვაჩვენებთ მტერს, რომ ჩვენ არც ისეთი დაბალი ღობე ვართ, როგორც ჰგონიათ.

გამარჯვების იმედი, რწმენა, ძლიერი ნება და მოვალეობის სიმაღლეზე დგომა, — აი რა გემართება ჩვენ, ამხანაგებო ჯარის-კაცებო!

მტერი უნდა დავამარცხოთ! სხვანაირათ ფიქრი შეუძლებელია. მრავალი უბედურება აგვიტანია და ესეც უნდა ავიტანოთ.

ჯარის-კაცი ვ. მებუჟაე.

### სადარაჯოზე დაუდგეთ!

ყაზარმა უკვე აღარაა ჯოჯოხეთი და კატორღა, როგორც ეს იყო ამ რამოდენიმე წლების წინათ რევოლიუციამდის. სამხედრო ბეგარა თუ წინათ უმძიმესი და უსაშინელესი ბეგარა იყო, რომელსაც ყველა გაუბოლოდა ახლა ასეთი არაა და არც არავინ უნდა გაექცეს.

რამდენათ უმჯობესდება ჯარში ცხოვრების პირობები იმდენათ მცირდება დეზერტირობა და იმდენადვე ივსება ყაზარმები. მობილიზაცია ამ რამოდენიმე წლის წინათ ცარიელი სიტყვა იყო.

ამაოდ იხარჯებოდა მის განცხადებებზე ფული. დღეს უკვე ასეთი მობილიზაცია ყაზარმებს ავსებს და ჯარებს აძლიერებს, და ყოველივე ეს ხდება ძალდაუტანებლათ და ურებრესიოთ.

არც უნდა იყოს რაც წინად იყო, მას ახლა ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ახლა ცხრა მთას იქით არ მივდივართ სამხედრო ბეგრის მოსახდელათ, არც თვითმპყრობელობასა და ბიუროკრატიზმს ვემსახურებით ჯარში ყოფნით, მეორე მხრივ ჯარის-კაცი ახლა არც ისე უფუფლებო და უსულლო მანქანაა არის მიჩნეული, როგორც წინათ იყო.

დღეს თავისუფალი ქვეყნის შვილები თავისუფალი მოქალაქენი ვართ და ჯარის-კაცობა ამ მოქალაქეობის საპატიო თვისებაც კი არის. დღეს ვიცით თუ რისთვის ვიბრძვით, რისთვის ვღვრივთ სისხლს. ვიცით რომ ფრონტებზე ბრძოლით ავატდნთ ჩვენს შვილებსა და მშობლებს მტრისაგან ამოუღეტას, ვიცით რომ ამით ვიცავთ ჩვენს ქონებას, ჩვენს სახლ-კარს, ჩვენს მიწას.

დღევანდელი დეზერტირი მარტო დეზერტირი კი არა, მოღალატეა სამშობლოსი, თავის ოჯახის, თავის მოკეთისა, და თავის თავის. ქართველ ერში ახლა დეზერტირობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მას ყველამ ზიზღით უნდა შეხედოს და არაფერ საქმეში ხელი არ უნდა წარუშარფოს.

თუ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენი სახლ-კარი, ჩვენი ქონება ერთი წუთითაც კი არ უნდა დავფიქრდეთ, ისევე წავიდეთ ჩვენი მთავრობის ყველა დაძახებაზე და იარაღს ხელი მოკვიდოთ. დავამტკიცოთ რომ ჩვენ ღირსნი ვართ თავისუფლად ყოფნისა და ვაჩვენოთ ყველას, რომ ჩვენ შეგვიძლია დამოუკიდებელი ცხოვრება შინ სამშენებლო მუშაობის წარმოება და გარე მტრისგან თავის დაცვა.

დღე, ყველამ გაიგოს, რომ ქართველ ერს უკვარს თავისი თავისუფლება, თავისი სამშობლო და შეუძლიან, აქვს საამისო ძალა რომ დაიცვას იგი.

ამისათვის საჭიროა მთავრობას გვერდში ამოუდგეთ და მის დაძახებაზე იარაღით ჩვენი სახლების სადარაჯოზე დაედგეთ!

ჯ.-კაცი აქილესი.

### ჯარის სჯულებედი

ყოველს ქვეყანაში ჯარის საფუძველი შემდეგია: 1) ნებისყოფა მთავრობისა, რომლის შემძლებელი ხმა მუდამ ეხება ჯარს, როგორც

მბრძანებელი ძალა; 2) კეთილ მოაზრებულობა — და ურღვევლობა ფიცისა; 3) მტკიცე წესიერება; 4) უდასობა, როგორც უნდა მოქმედებდეს, მოეწყოს ჩვენი სახელმწიფოებრივი ხალხის მართველობა და საზოგადოებრივი წყობილება. თუ შეიარაღებული ძალა არაა განმტკიცებულ — დარწმუნებული თავის ქვა-კუთხედობაში, რომ იგია გარე თუ შიგნით ქვეყანის მშვიდობიანობის დამამყარებელი, მაშინ ის ჯარი ჯარობას ვერ იხამს, ბრბოთ გარდიქცევა.

მინდა ვსთქვა და ვირწმუნო, რომ აღარაფერ მოიპოვება იმისთანა, რომელიც ემხრობოდეს ძველ სამსახურის წეს-წყობილებას, რომელიც წაიყვანდა ჯარის კაცს ძველი გზის თხრილებით, სასაკლავო გზით, ხნარცვებით და სხვა დაბრკოლებებით. ასეთი გზა არაა საიმედო, და შედეგათ მოსდევს ფათერაკი-საფრთხე.

ერთნი, ასე ვსთქვათ ცხადათ გამოჰსთქმენ აზრს ჯარის განახლების საჭიროებაზე, მეორენი თანაუგრძობენ ამ მოძრაობას საიდუმლოთ; ერთნიც და მეორენიც ცხადათ და გარკვეულათ იხრებიან მიმართულების, ცხოვრების და შეიარაღებული ძალის სამსახურის შეცვლისაკენ.

დღევანდელ დროის ოფიცრის თვალ წინ სდგას საკითხი პირველ ხარისხოვანი რწმენისა: აუცილებელი განვითარება ჯარის კაცისა ზნეობრივით და გონებრავათ. ამას ჩვენბ ოფიცრები კიდევ შეეხეა. რომ ეს გზა აუხვეველია, ამიტომაც ზოგ-ზოგ ჯარის ცხოვრების ნაწილებში ტარდება თავგამოდებული მეცადინეობით და შეგნებით გამსჭვალულ მეუფროსეთაგან.

საჭიროა დღევანდელი ხელმძღვანელი განმსჯვალული იყოს იმ მიზანმისწრაფებით, რომ ჯარი, რომელზედაც ათასობით ოფიცერ-აღმზრდელთა შრომაა დახარჯული, გარდიქმნეს ზნეობრივ და გონებრივ განვითარების დარბაზათ, დარჩება რა ამავე დროს საპატიო, სახელოვან, წესიერების სასწავლებლათ და საღ-საიმედო მამულიშვილების მოსამზადებლათ. ჯარმა უნდა დაუბრუნოს ხალხს თავის შვილები, ძმები, მამები, რომელნიც მან, თუმცა დროებით, მაგრამ ნდობით ჩააბარა მის სრულ განკარგულებას. სამსახურიდგან ეს ხალხი უნდა გავისტუმროთ უკეთესნი, ვინც ისინი სახლიდგან მოვიდნენ. მაშინ შინაგანი კავშირი ჯარსა და ერს შორის საიმედოა, მტკიცე, დაურღვეველი და ნაღვლიანი კვნესის ხმაც განელდება მდაბიო ხალხის ქონში, რის შემდეგ, ჯარში სამსახურისათვის შვილს გაგზავნის აღხეინათ, აღერსიანათ, დალოცვით, დარწმუნებულია რა, რომ სამსახურიდ-



გან სახლში მობრუნებისას, მისი შვილი იქმნება ზრდილი, ყოველი ბოროტებიდან განსპეცაკებული, აღვსილი სიკეთით.

ეს ხომ გონებით გამოუხატველი, მიუწოდომელი თეორია არაა, არა ეს შესაძლებელია, აღზებულ სულიერ მუშაობის საშუალების დროინდელ ოფიცერთ-აღმზრდელთაგან.

უნდა უკუგდებულ იქმნას სიტყვა დროის უქონლობაზე. შეუძლებელ მუშაობაზე და სხვა. ესეთი უსაფუძლო წვრილმანობით ხომ წინაღუდგებით მოციქულებრივ მოღვაწეობას, რომელსაც სამშობლო ითხოვს ჩვენგან. ეს დასაკვირვებელი დამტკიცებაა, რომ თქვენი გული არ ჰფეთქს ამ მოღვაწეობისთვის, ან და არ ხართ თანაზიარნი ამ შრომისა. განმსჭვალულნი შესაძლებელ და უსაჭიროესი შეგნებით.

თქვენ კი, მომავალნო მემობარნო, თქვენი ახალ გაზრდა გული, თქვენი ცქვიტი გონება და მიშვიდველი სული მიხვდებიან, რომ მოძმე ჯარი გელოდებიან, რათა თქვენ შეუდგეთ ახალს, ნაყოფიერს, კეჟილ-შემომქმედებით მუშეობას, მას სჭირდება თქვენი ძალა, თქვენი უნარი ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს განსამტკიცებლათ.

და იმ დღეს, როდესაც თქვენ იხილავთ ცხად ნიშნებს თქვენი შრომის დაწინაურებისას, იგრძნობთ ისეთ კმაყოფილებას, ისეთ სულიერ შვებას რომლის წინაშე ყოველი სიკეთე ცხოვრებისა, შეკავშირებული თქვენი ოფიცერთა მდგომარეობით, მოგესმით ფუჟ, ფუჟსავატ ხმათ და არავისთვის გამოსადეგ გრეხილად.

ა. მ - ძე.

### მადლობა საქართველოს მხედრებს.

საქართველოს აღდგენის დროს, მუშათა მასა შედუღდა ჭირში და ლხინში განუყრელად. დემოკრატიამ შექმნა ძლიერი სამშობლო.

ყველას მოგვხსენებათ რომ, ამ ასი წლის წინანდ საქართველო იმყოფებოდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, საქართველომ დაჰკარგა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური და გროვნული ელფერი.

მაგრამ დღეს აღადგინა იგი საქართველოს დემოკრატიამ, ჯარისა და გვარდიის საშუალებით და შეიქმნა ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო,

უკვე მესამე წელიწადია რაც დამოუკიდებელი საქართველო არსებობს, იგი აღსდგა რუსული მადგან, ანარქიის ალით გარშემორტყმული იქნა.

გვაქვს საფუძველი სიამაყისა, მიტომ რომ, როგორ უნებურათ ჩატარდა რევოლიუციის მონაპოვარნი, იმ დროს, როდესაც მთელი სამყარო იმყოფებოდა კატასტროფიულს უფსკრულში. ზემო აღნიშნულნი პროცესნი იმით აიხსნება რომ, ჩვენ სამშობლოს ყოველთვის და განსაკუთრებით მის აღშენების პროცესში, ჰყავდა ისეთი შეგნებულნი მოქალაქენი, ჯარის-კაცი, გვარდიენი, რომლებმაც კარგად შეასრულეს ძველებურად ქართველურად თავიანთი მოვალეობანი, დემოკრატიულმა მთავრობამ, გვარდიამ და ჯარმა, გვიხსნა ოსმალთა დაპყრობისაგან, აგვაცდინა შინაური ხოცვა-ჟლეტა და ანარქია.

შეგვანარჩუნა რევოლიუციის ყოველი მონაპოვარი, აგვაშორა საგარეო აგენტები, მოგვცა მეზობელ ერთა კავშირი.

მოქალაქენო! ჩვენ მიერ არჩეულ მთავრობას ვერ უღალატებთ და მის დასაცავად შევებრძოლებით მტერს იარაღით. ჩვენ დავიცავთ ჩვენს თავს, სამშობლოს დემოკრატის გასაჭირისაგან.

ზემო აღნიშნულნი საქმენი დემოკრატის მოქმედობისა, იყენენ და იქნებიან კიდევ მალენი და მნიშვნელოვანი ატქი.

საქართველომ დადასტუროს რომ ის არ არის სამანდატო ხალხი არამედ იგი არის თავის მანდატორნი.

ჯარის კაცი გიორგი ხირული.

### კულტურული მუშაობის შესახებ.

თანახმად სამხედრო კულტურულ სექციის დადგენილებისა, ყველა ნაწილებში უნდა იყვეს თითო მასწავლებელი კერძო პირი და ერთი ოფიცერიც, რომელიც უნდა აწარმოებდეს და ხელმძღვანელობდეს ყოველგვარ კულტურულ საქმეს და ამით ხელს უწყობდეს ჯარის-კაცთა განვითარებას, მაგრამ საუბედუროდ ეს არ არის ყველა ნაწილებში აგრე მოწყობილი. მე აქ მოვიყვან, მაგალითად მეცხრე ასპინძის ათასეულს. მართალია ათასეულში დანიშნულია მასწავლებელი, ვილაც ჩიკოვანი, მაგრამ ჯერ ის ჩვენ არ გვინახავს და არც



რაიშე ყურადღება მოუქცევია ჩვენთვის, მართალია ამდენხანს, ჩვენ არ გვექონდა შეძლება კულტურული მუშაობისა, რადგანაც სხვა და სხვა ალაგას ვიყავით დაქსაქსულნი, მაგრამ დღეს როცა ავერ ერთი თვეა რაც ქ. ბათუმში ჩამოვედით და აქაც იგრე ვცხოვრობთ და არავითარ, კულტურულ მუშაობას ალაგი არ აქვს ჯერ-ჯერობით. გარდა იმ ჟურნალ-გაზეთებისა, რომელსაც სამხ. სამინ. კულტ. განმანათლებელი სექცია გვიგზავნის, ჩვენთვის მეტი არაფერი არის, ჩვენ აქაც ვერ ვხედავთ სად იმყოფება ათასეულის მასწავლებელი ბ. ჩიქოვანი, ან რას აკეთებს ის, როგორც გავიგეთ ექვსი თვეა რაც ის დანიშნულია ჩვენს ნაწილში და იმყოფება კიდევაც ქ. ახალციხეში, მაგრამ ეს ჩვენთვის არაფერი გამოსადგევია. თანახმად სამხ. სამ. კულტ. განმან. სექციის მთავარ ხელმძღვანელის ბრძანების № 48 § 1-ლისა ნაბრძანებია, ყველა ინსტრუქტორ-ოფიცრებზე, წარადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები და გააცნონ სექციას მათი მუშაობა, თუ როგორ და როგორ აწარმოეს საქმეები, ამის შესახებ შე მგონია ჩვენი ნაწილის კულტურულ საქმის ხელმძღვანელები უნდა დღემლით შეხედდნ იმ ბრძანებას და ვერაფერი ნამუშევარი ვერ წარადგინონ, ანდა რა უნდა წარადგინონ, როცა არაფერი გაუკეთებიათ. ამიტომ საჭირო და კარგი იქნებოდა რომ ჩვენი ჟურნალი მოათავსებდეს ყველა ნაწილების მიერ წარმოდგენილ ცნობებს, რათა ყველამ ვიცოდეთ ვინ როგორ მუშაობს და როგორ სიმართლით არდგენს ცნობებს, თავიანთი მუშაობის შესახებ.

ვამბობ რა ამებს, მოუწოდებ ხსენებულ ათასეულის კულტურულ-განმანათლებელ სექციის წევრებს, გამოიჩინონ შესაფერი ენერგია და ასრულონ ის, რასაც მას ავალტებს თავიანთი დანიშნულება და სამხ. სამინ. კულტ. განმანათ. სექცია.

მხოლოდ მაშინ მოეწყოსა საქმე რიგზედ, როცა ჩვენ ყველანი ჩვენს მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ.

საწყალი მუშა.

### შეგნებული თავდაჭერა

როდესაც ჩვენს სხვა და სხვა გულისტკივილს, ან რაიშე დროებითი ნაკლს ვგრძნობთ და უშიშრათ ვამბობთ, ამას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენი გამოცდილი თვალთა-ხედვით, ჩვენი ღრმა რწმენით, ხშირად შესაძლებლად ვსცნობთ

ჩვენს კობტა და სამარლიან მიწა-წყალზე უფრო დიადი შეგნებით განვახორციელებდით ქართველი ხალხის წინ-განსწინებულ სურვილებს და დადებითი საქმენი.

ყველა ჩვენთაგანს ნათლად წარმოდგენილი აქვს სრული მოქალაქობრივი შეგნების შესისხლობორცება და ისე შეძლებისადაგვარად ხალხის დაუღალავი სამსახური, ხალხის გამოძახილის მოსმენა-გაგონება.

მთავარი და აუცილებელი ვალდებულება არის ერთხელ და სამუდამოთ სისხლით მოპოებული თავისუფლების დაცვა, თავისუფალი ქართველი ხალხის სრული უზრუნველყოფა.

ქართველი ხალხი—იქით არავის არ ებრძოლება, არავის არა მტრობს-გარდა იმისა, რომლებიც პირიქით არ მოინდომებენ ქართველი ხალხის მოქალაქობრივი უფლების წართმევას, მის დაქვეითებას, მისი კულტურის შეცვლას—უკულტურობაზედ.

და თუ ეს უკანასკნელები, ქარფეული ხალხის კულტურის და სიმწიფის უაზრო მტრები დაჯინებით მოინდომებენ თავიანთი შავი სურვილების სისრულეში მოყვანას, იმ შემთხვევაში ქართველი ხალხი, როგორც ერთი მთლიანი ოჯახი, როგორც ერთ საყვარელ კერიაში პატიოსანი და კანონიერი შობილები ისე ერთად, შეერთებული ძალით შეებრძოლებიან კარზე მომდგარ უაზროთ მოხეტიალე მტრებს.

აი, ასეთი ბრძოლის დაროს — ქართველ მოქალაქეს, როგორც ყოველთვის, ახლაც აუცილებლივ მართებს გამჭრიახობა, სიმაჰაცე. ერთგულება თავისი მოძმისადმი და ბევრგვარი მოსალოდნელი გაჭირვების ატანა.

დღეს დრო არის მხოლოდ შემოქმედებითი მუშაობისა, მოპოებულის შენარჩუნებისა, მისი დაუფლება-დაპატრონებისა და ამისათვის სადაც ჯერ იქნება საჭირო დრო მედგარი დარაჯობისა.

ქართველი მოქალაქე დღეს უდარაჯებს თავის წინაპართა სისხლით მოპოებულ მოქალაქობრივ თავისუფლებას.

ეს დარაჯობა უმწიკვლოდ გამოიხატება: გაასკეცებულ შრომა-მუშაობაში, ერთი-მეორის თანაგრძობა-გაგონებაში და გამხსევება-გაკლდევევაში.

ყოველი თავისუფლების მტერი ჩვენს გამხდალლებულ დროს ეძებს; მას არ სძინავს დღე და ღამე, რათა მოხდენილათ და დროულად ისარგებლოს მაშინ, თავისი ბოროტი აზრით, ბოროტი წადილით.

ერთი სიტყვა, მტრობით შეთხზული და ხელმოწერულად მიმართული საქართველოს დემოკრატიული



ხალხის ბრწყინვალე გამორჯვებაზე არ უნდა ითქვას.

ქართველი ხალხი, ამაყი, უშიშარი, გაბედული, და მარად გულწრფელია!

მაგრამ...

ყველა ეს უღიადესი მხარე ჩვენი პატარა ერისა, უნდა საკმარისად დაცული იქნეს უადგილობისაგან.

მეტი მოქალაქობრივი თავდაქერა ბოროტად შემოპარებულ ზოგაერთ სტუმრებთან.

როგორც ყოველთვის — ქართველი ერისათვის დიდი ფათერაკი — უმნიშვნლოდ დაპატარავდება...

ლათიკო ლოლობერიძე.

# ღ ე ნ შ ი კ ე ბ ი.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს საკუთარი აზრი გამოვსთქვა ამ საკითხის შესახებ. ვინც მიცნობს, იმან იცის, ვინც არ მიცნობს იმათ გასაგონად ვამბობ: მე არ მყოლიან დენშიკები ადამიანობის დამამცირებელ აზრით, მე მყვანდა მეგობარ-მოსამსახურედ, რომელსაც ებარა მთელი ცხოვრება-ქონება, ჩემი ოჯახის სინილისი და ნამუსი. ავიყვანდი რომელსამე ჯ. კაცს ნებაყოფლობით; პირველი დღიდანვე შეუდგებოდი მის წვრთნა-აღზრდას და აუცილებლად წერა-კითხვის-ანგარიშის სწავლებას.

წავიდოდა სამსახურიდან და არ სწყვეტდა თითქმის ხუთ წლამდე ჩემთან მიწერ-მოწერას შემდეგ ნაირად: შენ გამხადე ადამიანად, შენ ამიხილე თვალები, შენ ხარ ნამდვილი ჩემი მამა; შენის წყალობით წრეულს ამირჩიეს მამასახლისად და სხ.

აი ასეთები იყვნენ ჩემი დენშიკები. რა დავამცირე ასეთ მოსამსახურე — ოჯახის წევრობით იმ ადამიან — ჯ. კაცებში, რომელთაც სამსახურის სრულის კურსის გავლის შემდეგ, ჩემთან გაატარეს რამდენიმე თვეები ზემოაღნიშნულ პირობებში, ცალკე ოთახში წოლით, უკეთესად ჭამა-სმის მიღებით, სუფთად ტანსაცმლის და საცვლის ტარებით, უკბენაროდ და უქუქუკოდ?..

მეტყვიან განა ყველასთან ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თქვენთანაო. დიახაც რომ არა, მაგრამ ცუდს პირობებში არც დენშიკები იცხელებდნენ ხოლმე თავს და იყო წამ და უწუმ ცვლა.

ასე იყო ძველს ხანაში, როდესაც დენშიკობაში მართლაც დაჩაგრული ჯ. კაცნი დებულობდნენ დაცინვას და საპარტახინო მეტ სახელებს „ხოლოპებაო“ და ბევრი თავმომწონე ვაჟკაცი გაუ-


რბოდა ამ წოდებულებების მიღებას. სამართლიანი იყო ეს გულის წყრომა და სიძულვილით შევსებული რუსის აფიცრებისადმი. რადგანაც ისინი არასც თუ გონებას არ იწყალებდნენ და გულს არ უდებდნენ ცალკე მოსამსახურე ჯ. კაცს, არამედ მთელს სახელმწიფოებრივ ძალას ცალგულად ექცეოდნენ შეუფერებლობის, უპატრიოტიზმობის გამო და აკი მოიძვეს კიდევ მოსამკალი. ხუთს ერთეულში მომიხდა სამსახური, ათ ამოდენასთან მაინც ფარული კავშირი მქონდა და ყველა შეგნებული ჯ. კაცი იმას შემომჩიოდა: „არ გვეხმის, რად ვაძულვართ ასე ძალიან რუსები სწორედ რუსის აფიცრებსაო“. ეს სიძულვილი, ეს უპატრიოტიზმობა ფაქტი იყო, იგი იქნებ ის ჭია იყო, რომელმაც ჰღრღნა რუსეთის უზარმაზარი ჯანდარი და ძირს დასცა; აქედგან ბევრი რამის ახსნა შეიძლება და კერძოდ დენშიკობის შეძულება, მისი რუსულ „დენშიკად“ გადაქცევის მაგივრად „ხოლოპად“ მონათვლაც.

ასე არ უნდა იყოს ჩვენში. თუ იქნება საზოგადოთ მოსამსახურეთა სახელი რესპუბლიკაში და კერძოდ ჯ. კაცთა ხელზე მოსამსახურება.

ჯერ გადასაწყვეტია უნდა იყოს თუ არა ჯ. კაცთაგან ვინმე ხელზე მოსამსახურე იმ პირობების და გარემოებათა გამო, რომელშიაც უხდება სამსახური სამხედრო პირთ? თუ ამას დადებით გადაწყვეტთ, მაშინ ვსთქვათ ის თუ როგორი უნდა იყოს იგი, რომ არავინ დამამცირებლად არ მიიღოს: პირიქით ეს სამსახურიც ისევე საპატიო და სასახელო იყოს, როგორც თოფ ქვეშ დგომა. მითქმა-მოთქმას და ბოროტად ამ საქმის გამოყენებას ვერვინ გაბედავს თუ ერთხელ და სამუდამოთ ნათელი აზრი გვექნება უფროს-უმცროსობის კიბეზე და იმ ნებით და სიყვარულით თანამშრომლობაზე, რაიც უნდა აცისკროვნებდეს ყოველ მეომრას და სამშობლოს დამცველის ნაბიჯებს.

დავიწყეთ პირველიდან მთელი ქვეყნის სოციალური მდგომარეობა და კერძოდ ჩვენი რესპუბლიკისა ჯერ შორს სდგას იმ ბედნიერ ხანიდან, როდესაც აღარ იქნება არც უფროსი და არც უმცროსი, არც ღარიბი და არც მდიდარი, არც ნასწავლი და არც უსწავლელი: პირიქით, ყველა თანასწორი იქნება სწავლითაც, ქონებითაც და უფლებებითაც.

ამ სანეტარო ხნის მოახლოვებას ყველაფერი ხელს უწყობს მთავრობიდან მოკიდებული, უკანასკნელ მოქალაქემდი; უწყობენ ხელს იმდენად და იმ სახსრით, რაიც მოეპოვება თანამედროვე მეც-



ლადო ალექსი—მესხიშვილი  
გარდაცვლილი 24 ნოემბერს ქ. ტფილისში.

### ელ. ალექსი-მესხიშვილის ხსოვნას.

მოკვდა, მოკვდა! და ეს სიტყვა სწრაფ მოედო არე-მარეს,  
აღარა გვყავს, ხალხის შვილი, მიიძინა შშობელ მხარეს!  
რაც რომ იყო აღარ არის, რაც რომ არის არ იქნება,  
და ეს გული გაბასრული, სიმწარისგან, კვდება, კვდება!..

მიწაც სტირის, ცრემლებს აფრქვევს, მთვარეც ღრუბლებს ეფარება,  
ცასაც ძაძა გადაუცვავს, ყველგან ბნელია, ყველგან ბნელია  
ყვავ-ყორანი თავს დაგვიჩხავის, გულ საკლავათ იღიმება,  
ველ-მინდორიც განაბულა, ირგვლივ მეფობს მღუმარება...  
ბულბულს ენა ჩაუფარდა თავს დაატყდა მწუხარება  
სცენის ჩანგი მთლად დაიმხვრა დაავიწყდა ღმერთის მცნება  
ოხვრა, კენესა კვლავ გაისმა, კვლავ გაისმა მწუხარება  
ირგვლივ ბნელია! ქარიც ღმუის!.. სტირის, სტირის თვით ბუნება  
კვლავ ძაძები, და ცრემლები ქართულ თეატრს არ შორდება,  
ვარდმაც თავი ძირ დახარა, სიმწარისგან ისიც ჭკნება!..  
მოკვდა, მოკვდა და ეს სიტყვა სწრაფ მოედო, არე-მარეს  
აღარა გვყავს ერის შვილი მიიძინა შშობელ მხარეს!!!

### პ. ფრანგიშვილი.

ნიერებას, თანამედროვე მოღვაწე პირებს და დაწესებულებათ.

ერთ ასეთ სახსრად ერის კულტურის და ცხოვრების წინ წასაწევად დღევანდელ პირობებში უსათუოდ ჩაითვლება ჯარიც. ჯარი არა თუ თავის თავგამოდებულ და მძიმე სამსახურით და სამშობლოს სადარაჯოებზე ფხიზელი დგომით უწყობს ხელს სამშობლოს შინაურ აყვავებას, არამედ თვით თავის შინაგან მოწყობილობით ცდილობს გუშინდელი მუშა-გლეხი, ღროებით ჯ. კაცად ქცეული, რაც შეიძლება საუკეთესო მოქალაქედ დაუბრუნოს შშობელ ქვეყანას. ამ დიად მუშაობის ხელის

შესაწყობად ბევრი რამ საშუალებებია ყაზარმებში თუ მის გარედ მიღებული. იმდენად რამდენადაც ჯ. კაცთა უფროსობა უკეთ გამოიყენებს ამ საშუალებათ, რამდენადაც ახლო იდგება ხელქვეითებთან, რამდენათაც მის სულის მესაიდუმლოედ და გაჭირებაში მრჩეველ — შემსუბუქებელი გახდება, იმდენად კარგს მოქალაქე ჯ. კაცს აღზრდის, რომელიც წარბ. შეუხრელად გაიზიარებს თავის მასწავლებელ-უფროსის ქირ ვარამს. ყურს მიუგდებს და ეცდება წაეშველოს ოჯახურ ცხოვრებაში! ეცდება რითაც შეუძლიან, მით გადაუხადოს მოამბავს. ასეთი ჯ. კაცი სამსახურიდან გასული წამებად არ სთვლის



რევაზ მაყაშვილი.

დაიბადა 1897 წ. აპრილის 28 და ეზიარა გმი-  
რულ სიკვდილს 1920 წ. მაისის 4-ს წითელ ხიდ-  
თან ადერბეიჯანთან ბრძოლაში თავისუფალ სამშო-  
ბლოს თავდაცვის წმინდა მოვალეობის აღსრულე-  
ბის დროს, როგორც გვარდიელი.

უკან დაბრუნებას მოწვევის ჟამს დაენატრება თავის  
მამად მიჩნეულ უფროსის ნახვა-შეყრა. სულით და  
გულით დამეგობრება უფროს-უმცროსისა მით უფ-  
რო დიდი იქნება და იყო კიდევ, როდესაც სასი-  
კეთო ზეგავლენას ახდენენ ვისმეზე განსაკუთრე-  
ბით და დღე მუდამ. საამისო პირობები იქმნებო-  
დნენ და შეიქმნება, როდესაც ესა თუ ის ჯ. კაცი  
უფროსის ოჯახის წევრად შეიქმნება და თავის მო-  
სამსახურეობით თვითაც ბევრს შეიძენს და უფროს-  
საც საშუალებას მისცემს თავის დროზე და კეთილ  
სინდისიერად ემსახუროს, უკან მოუხედავად, ჩაბა-  
რებულ ჯ. კაცთ და მათით სამშობლოს.

ჩემი ყოფილი „დენიკი“, როდესაც შემთხვე-  
ვით დამინახა როსტოვის სადგურზე, სრულიად არ  
დამერიდა, თავისი მაზუთიანი მკლავები სიხარუ-  
ლით შემომამკლა კისერზე და პირზე კოცნით გა-  
მოხატა ის სიხარული და ბედნიერება, რაიც მან  
იგრძნო ჩემის დანახვით. ნუ თუ ეს კაცი რომ  
გვერდში ამომიდგეს ბრძოლის ველზე მიღალატებს  
მოიგონებს თავის დამამკირებელ „დენიკობას“  
და ზურგიდგან ტყვიას ან ხიშტს ჩამირტობს!.. თუ  
ლომპივით იბრძოლებს და ფარვანასავით თავს მო-  
მეველება, რათა შეუნარჩუნოს ამხანაგებს გასაქირში  
უფროსი, ხელმძღვანელი და თვითონ მოხადოს ის  
მადლი ჩემს წინაშე, რასაც ჰგრძნობს წინეთ ჩვენი

ერთმანეთთან დაახლოვების გამო!.. ცხადია ვინ-  
ლავთ უკანასკნელს კერძოთ სამშობლოს დაკრის  
დროს; თუმც ნაკლები მნიშვნელობა აღიქმება  
ასეთ მეგობარ-ხელქვეითების ყოლას კერძოდ სოფ-  
ლიურ-მოქალაქეობრივ ცხოვრებაშიც...

დღეს დღეისად, როგორც ყველგან, ჩვენს  
ქვეყანაშიც არსებობს კლასი ხელზე მოსამსახურე-  
თა და არაუის აზრათ არ მოუვა გასცინოს ასეთ პი-  
რებს, ან სამარცხვინოთ მიიჩნიოს ასეთ პირებთან  
ცნობა საქმის დაჭერა. ჩვენ ყველა ვსაქმობთ ერ-  
თი მეორეს, ყველა ვეხმარებით ერთი მეორეს, ყვე-  
ლას გვიჭირავს მაღალ-დაბალი ადგილები და თუ  
„დენიკობის“ ყბად ამღებთა ლოლიკას მიგყვებით  
ყველანი დასავამბნი და ადამიანობის სახელის  
უღირსნი გყოფილვართ. ასეთ შეუსაბამობამდე არ  
მივიდოდით, თუ ყველას კარგათ გვექნებოდა წარ-  
მოდგენილი, რომ არა რომელიმე წოდებულება  
და თანამდებობა გვამკირებს და გვაკადნიერებს,  
არამედ ცუდი საქმიანობა, უსაქმოდ ყალი და მუ-  
ქთა ხორობა. ის ადამიანები, რომელთაც ჟამთა ვი-  
თარების და საზოგადოებრივ წესწყობილების გამო  
გამოზრდილან და ყოფილან ხელზე მოსამ-  
სახურედ, სხვის ხელში შემყურედ, გულნაკლულნი,  
მაგრამ მაინც დარჩენილნი ასეთებად არაერთარ შემ-  
თხვევაში თავს შეურაცყოფლად და დამამკირებ-  
ლად არ მიიღებენ თავის უფროსთან ოჯახში ყო-  
ფნას. მართლაც რით არის უკეთესი ვინმე გასუქე-  
ბული ბურჯუა, რომელთანაც მოსამსახურებდა  
ახალწვეული, იმ აფიცრებზე, რომელთანაც მიიყვა-  
ნეს იგი მოუშხადოს სამშობლოს მცველი და შეგ-  
ნებული მოქალაქე!.. არაფრით, პირიქით, დიახ, რა  
უთხრათ კაცობრიობის ჩამორჩენას, თორემ სწო-  
რედ პირველ შემთხვევაშია კაცის დამამკირებელი  
საქმეც და ბოლმავე მომგვრელი ვარემოებაც.

მე ვიცი რამ ბევრს უფროსს ჰყავს ჯ. კაცი  
აყვანილი ხელზე მოსამსახურედ; არც ერთი ასეთი  
ჯ. კაცი თავის უნებლიედ და უკეთესობის დაუნა-  
ხვად არ დარჩება უფროსთან ხელზე მოსამსახუ-  
რედ; ნებაყოფლობით არის იგი წაყვანილი და რო-  
დესაც ჰსურს თავს დანებებს ამგვარ საქმიანობას;  
სრულიად არ სთვლის რაიმე მისი ადამიანობის და-  
მამკირებლად ასეთ თავის მდგომარეობას, დაგმო-  
ბა კერძოთ „დენიკობისა“, ჩემის აზრით, გამოწ-  
ვეულია მთელი სოციალურ ცხოვრების გაუთვა-  
ლისწინებლობის გამო. ვინც ღრმად ჩაუფიქრდება  
აწინდელ ცხოვრებას და გულწრფელათ იმსჯელებს,  
მე დარწმუნებული ვარ დაშეთანხმება, რომ რაკი  
აუცილებელია ერთი მეორის მოსამსახურება, მაშინ

საქართველო ჩ. ანალიზი

რომ ათასეულში მრავალი კულტურული საქმე კეთდება. ყოველ გუნდში წერა-კითხვის სკოლები არსებობს, სადაც შეკადინება გაწესირებულია სწარმოებს. ამასთანავე მთელ ათასეულისათვის იკითხება ლექციები, მოხსენებები და რეფერატები სხვა და სხვა საკითხებზე. მოხსენებებს გუნდებშიც კითხულობენ გუნდის მასწავლებლები. ამასთანავე ჯარის-კაცებს უკითხავენ მდაბიო ენაზე დაწერილ ბროშურებს. ამავე ათასეულში არსებობს მომღერალთა გუნდი.

თეატრის საქმეც კარგად არის დაყენებული. ბ-ნ მონიავას ენერგიულ მუშაობის წყალობით სისტემატიურად კვირაში ერთხელ ჯარის-კაცთათვის უფასო წარმოდგენები იმართება. სცენის მოყვარე ძალებით ათასეული არაა ღარიბი. ათასეულს რეჟისორად მოწვეული ჰყავს ჩაგუნავე. ზოგჯერ იმართება კონცერტები და სამუსიკო საღამოები. იმედია, რომ ასეთი მუშაობა ახლობელ მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

ჯარისკაცი.

სამშობლოსთვის...

სტავან ჟეორგის ნოველ ლეგიდან.

ძღვანად ქართველ მხედრებს.

ცეცხლი მხიარულად გუგუნებდა.

ნაძვის შტოები იწვოდა მშრალის ტყაცატკუციო. ტყიდან, საღამოს ნამიან ჰაერში მოისმოდა ხერხისა და ცულის ხმაური, და ამ ხმაურის ნაკვეთი ხმა ედებოდა მთიდან მთას, ტყიდან ტყეს, შორს, დამის შავს სივრცეში, დაუსრულებელს ლიყინა ბნელში...

ხანდისხან გაისმოდა წასაქცევად გამზადებული ხის მქაზე ტყაცანი, შტოების მტვრევის განმაურება, და, ბოდოს ერთი ღონიერი ყრუ დახეთქება ვეებერთელა ხისა. ამ დახეთქების ხმა ხელად აფარდებოდა ჰაერში, წყნარად ნელდებოდა, მოდიოდა ბნელს სივრცეში და მიჰქონდა უბედური ამბავი ამ დაცემისა...

და თითქოს მთელი ტყე იმტვრევა და იქცევაო, გრილობდნენ ყველა ხეები და ცოცხალი ხმებით გვემუდარებოდნენ შორეულ სიბნელიდან...

ტყის იქით მხრიდან ამოვიდა ვერცხლის მთვარე, მორცხვად დაფრქვია მკრთალი სხივები შავს სივრცეს ბნელი ქვეყნისას და ნელ-ნელა შესტურდა ღრუბლებში...

დაჰკრა გრილმა ნიაჟმა...

ცეცხლთან შეკრებულ ბროშურებს მიუყრდა...

\* \* \*

იციტ--რაშია საქმე?

ჩვენ დავამარცხა მუთავიოვმა და მთელი პოლონეთი მორწყო სისხლით, მოსრისა ჩვენი სიამაყე, ყველა ცენტრებში აღმართა საღრჩობელები და მკისრი გაავლო ყველას, ვინც არა თუ შეეცადა, არამედ ფიქრადაც გაივლო პოლონეთის განთავისუფლება.

აღმართა საღრჩობელები... და ვინც ვერ ეღირსა იმ სწრაფი სიკვდილის ბედნიერებას-- ისინი ათასობით, ათი ათასობით გააძევა პოლონეთიდან პერანგის ამარა, დამშეულნი, ცოცხალი აზრის დახშობით მრავალი ათეული წლით გააპარტახა თავისუფლებაზე ოცნებისაგან მთელი პოლონეთი.

ჰკითხეთ ციმბირის იღრან ტყეებს, ურალის სალ-კლდოვან მღაროებს, ბაიკალის ტიალ მწირ მინდვრებს და გავერანებულ ღედე-ღუდეებს, კავკასიის ჰაობიანს და ციებ-ცხელებიან ადგილებს-- და ისინი გეტყვიან თუ პოლონეთის თავისუფლებისთვის რავდენი კეთილ-შობილი გული დასამარდა მათს წილში--ისინი გეტყვიან...

გეტყვიან იმათ ტანჯვას დამამცირებელ მონობასა და უზომო სილატაკეში... გეტყვიან მათ გმირულ საქმეებზე და გმირულ ღუმელზე ამასს, მიუტოვებელ, ბტკიცე ხასიათზე, და უსაზღვრო განუზომელ სევდაზე დამარცხებული სამშობლოსადმი...

გეტყვიან და უსათუოდ მოგგვრიან ცრემლებს... გეტყვიან-- რომ ეხლაც ბევრი, ძალიან ბევრი პოლონელი სცხაჯრობს ამ შორეულ ქვეყნებში იმ ზღვა გადასახლებულთა შთამომავალნი და ოცნებობენ განთავისუფლებულ პოლონეთში დაბრუნებას...

გეტყვიან აგრეთვე-- რომ რუსის მთავრობამ ყველა აჯანყებაში პირდაპირ თუ ირიბათ მონაწილეს ჩამოართვა მიწა-მამულეები, თვით ისინი გადაჰკარგა შორეულ ქვეყნებში-- ყველა, ვინც ჩამოღრჩობას ვერ ეღირსა-- და მათი მამულები დაურიგა რუსებს-- პოლონეთის განადგურების მონაწილეთ. დაურიგა და დასახლა შიგ. რუსებს-- და ზოგს პოლონელსაც-- იმ პოლონელთ-- ვინც საკუთარი ქვეყნის ჯალათობა იკისრა, დაეხმარა რუსებს, დაჰღვა-რა პოლონელთა სისხლი და ისახელა თავი სამშობლოს ღალატით, უსინდისობით, ძალმომრეობით.

(შემდეგი იქნება).

ყველაზე სპატიო, ყველაზე პატივო და სასარგებლო სწორედ ორ მეომრის, ორ მამულის მცველის ერთმანეთის წახმარებაა.

ზემო ნათქვამიდან ღმერთმა დაშიფაროს, ისეთი აზრი ვინმემ განოიყუანოს, რომ მე დიდი მომხრე ვიყო „დენშიკობისა“ პირადათ ჩემთვის ბარი, თახი, ცული, ხერხი, შალაშინი; სადგისი, ნემსი, გუთანი, ფარცხი და ურემი ისეთივე იარაღია, როგორც მსუბუქი კალამი. მხოლოდ ამ საგნის ცალმხრივად გაშუქებამ ამადებინა კალამი ხელში.

თუ ყველასთვის საკმაოდ მისაღები იქნება ზემო აღნიშნული მოსახრებანი და ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენ სამხედრო პირთ გინდაც მთლად მოვისპოთ, არამც თუ ჯ. კაცთა მოსამსახურება, არამედ საერთოდ კერძო პირთა დაქირავებაც სამოსამსახუროდ, ამითი არაფერი შეიცვლება ამხანად დედამიწაზე, მაშინ უნდა ერთხელ და სამუდამოდ ქვეყნის გასაგებათ ვსთქვათ; როგორც ყველა დარგის მსახურები, ისე მით უმეტეს აფიცრობა, რომელიც ველად ვადიან და შინ სტოვებენ ცოლს-შვილს, ცხოვრება-ქონებას, უმოსამსახუროდ მეტად ძნელს და აუტანელ პირობებში ცვივა. აფიცრისაგან აღზრდილი და საიმედო ჯ. კაცი მხსნელი იქნება ოჯახისა ყოველგვარ გაქირვებიდან, შეუძლიან მისვლა-მოსვლა თავის უფროსთან ბრძოლის ველზე და მის გარეშე; ამბის მიმტან-მომტანის და თუ გარემოება მოითხოვს, ბრძოლის ველზე დამრჩენი მეომრად ან თავის უფროსის მომვლელ-პატრონად. გინდაც რომ შეიძლოს აფიცრობას იყოლიოს მოსამსახურე, ომიანობის პირობებში ვერც ერთ კერძო კაცს ვერ დაავალებთ ზემოაღნიშნულის შესრულებას და გინდაც დაავალოთ, განა შესაძლებელია ომიანობაში ყოველ კერძო კაცის გაშვებ-გამოშვება ან ბრძოლის ველზე დარჩენა! ამ გვარ მდგომარეობას პატიოსანი მეთვალყურე მხარს ვერ აუქცევს. ეს, თუ გნებავთ, მკითხველო, აუცილებელი ნაკლია ჩვენი ცხოვრებისა და გამოკეთება, გამოსწორებაა ჯერ-ჯერისად საჭირო, შემდეგში კი — ამ ბოროტების ძირიან-ფესვიანად ამოგდება.

დიდათ გვექირვება სამშობლოს დამცველნი. დიხ არც ერთი პატიოსანი მეომარი ამხანავს არ უნდა ჩამოშორდეს ბრძოლის განკიცხვის ჟამს. აქ არის ხოლმე გულის ამატოკებელი ძახილი: „აბა ვისაც უფრო მეტად გიყვარს მშობელი ერი, სამშობლო და თვისი-ტომი, წინ მტრისკენ! ან სიკვდილი, ან გამარჯვებაო“ და ამ დროს ვინმე — მეომრის სადღაც აფიცრის ოჯახში თბილად ჯდომა და შეჭამანდის მზადება, დიხაც რომ სა-

მარცხენო საქმიანობაა. არ ეპატიება არც უფროსს, არც თვით ჯარის კაცს. **მეცხმე მსკჳმისნი ვართო, სხვისა ქირი, ლობესი იქონიება** და ყველანი და სუყველაფერი ბრძოლის ველისკენ უნდა იწვედეს, მიეჩქარებოდეს, მირბოდეს.

დარწმუნებულად ვარ ასე იფიქრებს ყველა და ყველაზე უწინ და ყველაზე მწვავედ აფიცრობა, და ჯ. კაცნი: შეუძლებელია ომის ამ მოხელეთა შორის ვინმემ იღვას თავზე შეუღახოს თავმოყვარეობა და გულის სწრაფვა იმ ვაჟაკათა, რომელთათვისაც დედ-მამას მიუნიჭებია ყველაფერი, რომ იყვნენ სამშობლოს გამირებად და მტრის საოცებლად. ამათი გზა და სამსახური ყველამ ვიცით და ფართოდ გავუშლით ასპარეზს.

მაგრამ ბუნებას ჰყავს თავის უბედურნიც. ამით ვარდა, როგორც გვიჩვენებდა ევროპაში ჯარის მოწვევის უკანასკნელი სტატისტიკა, თანამედროვე კულტურის და საზოგადოებრივ ურთიერთობის გავლენის გამო, მეტად ბევრია ისეთი ახალგაზდობა, რომელიც სრულიად გამოუსადეგარია სამხედრო ბერის ცის. აი, ჩემის აზრით, საიდან უნდა შეივსოს აფიცრების მოსამსახურეთა კადრი. ეს დაბეჭავებული ახალგაზდების, რომელთაც იქნებ ისევე ერჩით გული, როგორც სრულიად საღებს, ადვილად შეასრულებენ აფიცრის ოჯახის მსუბუქ საქმეს, ცოტა რასმე შეისწავლიან „წყობილების წესდებიდან“, გაივლიან სროლის მოკლე კურსს და ქულზე კაცის დაძახების დროს სრულიად გამოუსადეგარნი არ აღმოჩნდებიან სამშობლოს დაცვის საქმეში. ამას ვარდა ეს ბუნებით დაჩაგრულნი და მიჯაჭვულნი ერთს ადგილას, გავლენ-გამოვლენ და ყველა ის კეთილი მხარეები აფიცრის ოჯახში ხელზე მოსამსახურებისა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, იმედია ბევრს რამეს შეჰმატებს ამ გვარ პირთა ზნეობრივ-გონებრივ განვითარებას, რაიც ჩვენი ერისთვის ხელ-წასაკრავი არ არის დღესდღეისად.

ლ. ც. გარელი.

### კულტ. მუშაობა მე-7 ათას.

მე-7 ათასეულში კულტურული მუშაობა სათანადო ნიადაგზე სდგას. აქ ამ საქმეს ხელმძღვანელობს კაპიტანი მონიავა და მისი თანაშემწე ინსტრუქტორი მინდელი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ისინი ყოველ ღონის ძიებას ღებურობენ ასეთი მუშაობის გასაძლიერებლათ. ამის წყალობითაა

ჩუხიძე 23.10



ნოესიხარულიძის ვაჟი ავთანდილი, რომლის სახე-ლობითაც გამოიცემა მგოსან ი. მჭედლიშვილის ნაწერები.

\* \* \*  
ჩემი ოცნება,  
ნაზი ოცნება

აისხამს როცა კეკლუცი ფრთები  
გადაფრინდები,  
დავაფრინდები  
კავკასის მწვერვალ მაღალსა მთებსა,  
და გადავყურებ,  
ლაღად უყურებ,  
ერის დიდებას სამშობლოს მთლიანს,  
ვარდ ყვავილებით  
ოქროს მძივებით  
აბიბინებულს მოქარგულს, სვიანს.  
და როს გულს შევება  
ჩამესახება  
ვიგრძნობ სიამეს და ნეტარებას,  
მუდამ მას ვამკობ  
და გულში ვამბობ  
„სამშობლოვ, წაღმა შენს ნეტარებას!“  
ჰოი მახსოვს როს  
მხოლოდ შენ ერთ დროს  
გტანჯავდა ძალზე უღმობი მტერი,  
დღეს გატიალდა, —  
და აფრიალდა  
აქ დროშა ძმობის, დროშა სამ ფერი.  
მაშ აწ სამშობლო  
მოყვასთ დამდობლო

გაშალე ნაზი კეკლუცი ფრთები,  
შენც ჩემსწინააღმდეგე  
ტკბილ საშუალებად  
საოცნებოში გადაფრინდები.

მესანგრე ათ. ჯ. კ. შალვა ფხვანელი.

## საჯამ ლაბთაძე.

ზაფხულის ღამე შავი პირბაღე  
დაღალულ მიწას გადაეფარა,  
როცა მნათობი შუქ მიღეული  
დასავლეთის მთებს ამოეფარა.

სიო შეჩერდა შესასვენებლად.  
ძირს ჩამოუშვა მსუბუქი ფრთები:  
მყუდროებაში გამოეხვია  
მთელი ბუნება, მინდვრები, მთები.

შავ ღრუბლებ შუა აქ-იქ აენტო  
ცაზე ვარსკვლავი ნელის პარპალით,  
ძირს კი ტყის პირას ციცინათელა  
ახელს და ხუჭავს თვალებს ქვარქვალით.

ბნელში ოდნავ, ოდნავ ისახვის  
ხეების მქრალი სილუეტები,  
მხოლოდ შორს მოსჩანს მძინარ დევებად  
გადაქიმული, გრძელი ქედები,

გულში მეფდება ჩუმი სიამე,  
იმედის ცეცხლით შეუფერავი...  
ვფიქრობ შორეულ ჩემ სამყოფელზე,  
მისთვის დღე მუდამ ჩანგის მეღერავი!

ვფიქრობ ჩემ სახლზე, ალბად ჩემსავით  
მოცული არის ისიც ბინდ-ბუნდით,  
ვფიქრობ იმ ხალხზე, ვისაც დავშორდი  
შეწუხებული სოფლის სიმრუდით!

ვფიქრობ, მათ გულში ამ ღამესავით  
ალბად იბუდებს შავი სევდები.  
ვფიქრობ, და, თითქოს დავინახავდე,  
ღამის ჭურუსში წინ ვიხედები!...

როს დავინახავ სუსტი თვალებით,  
რაც იმყოფება ცხრა მთას გადაღმა?...  
დაბლა ვეშვები მუხლ-მოკვეთილი  
და ძირს ბალახზე ვწვეები გულ-აღმა...

მტკივნეულ სევდას განშორებისას  
მიყურებს ღამის ტურთა ბუნება,  
სიამოვნების ბურანში მახვევს  
და ტკბილ ნანინას მე უღუდუნება...

ს. აბულაძე.

# ო რ ი ს უ რ ა თ ი .

იღვა ქარცეცხლი რევოლიუციის  
 გუგუნით არეს რომ მოსდებოდა,  
 როს ემხოზოდა ძველი კერპები,  
 ცოდვილი ტახტი რომ იმსხვრეოდა,  
 ოდეს გაისმა უკუნი ბნელში  
 „დაჰკრა საათმა, ჩაგრულო ერო,  
 აღსდევ, მამაცად ხელს იარაღით  
 მოსისხლე მტერი რომ მოიგერო.“  
 მაშინ ვიხილე ქართველთ მხედარი  
 მე დაცემული, ლაფში გასვრილი  
 და წინანდელი მამულიშვილის  
 დარჩენილიყო აწ მხოლოდ ჩრდილი.  
 თავისი ვალი, ერი, სამშობლო  
 აღარ ახსოვდა, დაევიწყა მას,  
 რადგან უგნური ის აპყოლოდა  
 ჩვენ მამულის მტრისა გულის თქმას.  
 როს ჰბობოქრობდა მტერი გარშემო,  
 ჰლამობდა რა ის ჩვენ ერის შთანთქმას  
 როცა გარშემო ნათელის მტერნი,  
 წყვდიადის შვილნი შემოგვრტყმოდნენ გარს,  
 ვერა ჰხედავდა, ყურს არ უგდებდა  
 სისხლით დაცლილი თავის ერის ხმას...

მაშინ ავივსე სევდა ვაებით,  
 ვიგრძენ მე ზიზღი და სიბრალული;  
 გული ატირდა ამის მოწამე  
 და საცოდავად აჰკენსდა სული ..

... და განვლო ჟამმა; კიდევ ვიხილე  
 მე ის ქართველისა ერისა მცველად  
 მხნე, ახოვანი, მამაცი—გმირი,  
 კანდიერ მტრისა თავზარ დამცემად  
 მის გვერდით მაღლა ქართველთა დროშა  
 დაჰფრიალებდა წითლად ამაყად  
 და ის კი უდგა ხელთ-იარაღით  
 მისი ერთგული, მის მცველი მარად.  
 თითქოს ამბობდა მთლად მისი სახე,  
 რომ სანამ პირში მას უდგა სული,  
 ვერ შეახებდა ამ წმინდა ნიშანს  
 და ვერ დაჰხრის ძირს მას მტერი კრული.  
 ის ქართველების ღვიძლი შვილია,  
 ამით ამაყობს რომ არს მის მცველი,  
 რადგანაც სჯერა რომ მომავალში  
 ელის მის ერს ბრწყინვალე დღენი...

მაშინ ავივსე მე სიხარულით  
 და აღტაცებით, ვიგრძენ რა შევება,  
 მაშინ უსურვე ერს და მის დარაჯს,  
 ქართველ ლაშქარსა, კვლავ გამარჯვება...

იუნკერი ა. ია—ლი.

# უამტფლთაის უიკრეპი

გიორგი მთიანეთელი  
 ზიზღიროთქა

გაზაფხულის სილამაზე:  
 ვარდ-ყვავილი, ნაზი ია,  
 ბუღბუღოთ სტვენა შვების ხმაზე,  
 მოლივლივე ტყის ფერია...

მთის ნიავეზე ფოთოლოთ რხევა  
 და ბრიალი მწვანე მოლის...  
 პაემანი... შემოხვევა...  
 გრძნობით ჩაკვრა მკერდთა ბროლის...

განთიადზე მზის სხივები  
 მობიბინე ჰურის ყანა,  
 და აკვანთან დედის ხმები  
 საალერსო ტკბილი ნანა.

ზაფხულის დღე... მწარე სიცხე,  
 მუშების ხმა, მოძახილი..  
 წყაროს პირას ტირიფის ხე,  
 და მის ძირში ასულთ ძილი.

მთვარიანი მშვიდი ღამე;  
 ბუღბუღოთ სტვენა მწყურის ჭუჭუტი...  
 ბაღში ტრფობა და სიამე,  
 მღერა, დოლი და დუღუკი.

გაზაფხულია და ზაფხული—  
 ნეტარება მხოლოდ ერთი...  
 პოეზიის თაიგული,  
 გვირგვინი და ტრფობის ღმერთი!..

გაქრა წუთში ყველა ესა...  
 შეგნება და სიხარული  
 მიეფარა სამარგსა..  
 გლოვობს, ტირის დღეს ბუღბუღი.

გაქრა წუთი, წამი ნდომის,  
 აღარ არის წასულთ მზგავსი!..  
 ყვავილთ ნაცვლათ შემოდგომის  
 მინდვრად რჩება შავი ხავსი!..

ცივა... წივის ცაზე წერო...  
 ვით ზაფხულის დედოფალი  
 თეთრს იმოსავს მთის კენწერო  
 და იცინის ეშხით მთვრალი.

ავად გახდა დღეს ბუნება,  
 ქარაშხალი ქრის ღა ცივა..  
 ტყე დაყვითლდა ჰკნება, კვდება,  
 და ფოთლები ოზლად ცვივა.

დასნეულდა ჩემი სული...  
 დღევებს ვითვლი ცივს ლოგინში!..  
 ოხ, ძნელია აღსასრული  
 გაზაფხულის მოლოდინში!..

ჯ.-კაცი მ. ხურცილავა.

# ყ ა ზ ბ ე ბ ი.

ღამეა, მთვარე ანათებს,  
 ყაზბეგის მოსჩანს გორები,  
 ხელი-ხელ ჩაკიდებული,  
 ერთი მეორის ტოლები.  
 მთვარეს გორები სწვდებიან,  
 ბრწყინავენ კინვა, თოვლითა,  
 თითქოს სურთ მისი დაჭერა,  
 უაღერსებენ შორითა.  
 შთის ქარი ნელასისინებს,  
 მიეშურება ჭალებში,  
 ხის ფოთლებს შეათამაშებს  
 შიიმაღება ხევებში.  
 კლდის ძირას თერგი ხმაურობს,  
 მოაქვს ყაზბეგის სალამი,  
 ვერ ასწერს იმის მშვენიებას,  
 ჩემი პატარა კალამი.  
 ჩქარი აქვს თერგსა ნაბრჯი,  
 ვერ დაეწევი თვალითა,  
 გულს ხიბლავს მისი დანახვა,  
 განათებული მთვარითა.  
 ყაზბეგი ამაყათა სდგას,  
 თავს დასქერს არე-მარესა,  
 პირველი მზესა ნახულობს,  
 ღამე — ბრწყინვალე მთვარესა.  
 დარიალს თავზე დაჰყურებს,  
 დარაჯობს დღე და ღამითა.  
 ამაყათ ყველას შეხვდება:  
 წარბს არ შეიკრავს წამითა.

ს. კერესელიძე.

ქ. კავკავი.  
2 სექტემბერი 1919 წ.

# ამონაკუნესი.

(ძველ რვეულიდან).

ქაბუჯი, ნორჩი უკვე მოვხუცდი,  
 თუმც თმაში არ მაქვს ჯერე ქალარა,  
 მაგრამ ოცნებამ გული ჩამიჭკნო  
 და ნორჩი გულიც დამისამარა.

ჩემი ოცნების ნავი წამგროთო  
 ამობოქრებულ ზღვაზე მცურავი;  
 სხვა ბევრ წვალებას ესეც დაერთო;  
 და მეც იქვე მსურს მოვიკლა თავი...

უკვე მოვხუცდი ქაბუჯი, ნორჩი,  
 თუმც თმაში არ მაქვს ჯერე ქალარა,  
 მაგრამ ოცნებამ სული ჩამიჭკნო  
 და ნორჩი გულიც დამისამარა!..

ი. მეგრელიძე.

# მხედრის სიმღერა

ჩქარი, ჩქარი ბიჭებო,  
 ჩქარი ბიჭო დელია,  
 ეს ხომ ვიცით მტერს დავსძლევთ,  
 გამარჯვება ჩვენია.

ჩქარა ძმებო, წინ გასწით;  
 დაყოვნება ძნელია  
 საქართველოს საზღვრები,  
 კილით-კიდე ჩვენია.

ძღვეის დროშა გავშალოთ;  
 საქართველოს ბჭენია  
 და მტერს მუსრი გავავლოთ,  
 გაუჩინოთ გენია.

დაჰკა, ბიჭო, მაგ მტარვალს...  
 დაჰკა, დელი, დელია  
 ბრძოლის ველზე სიკვდილი,  
 ჩვენთვის სანატრელია.

ტანჯული მუშა.

# მ მ.

მე ცეცხლი ვარ ჩემი მტრების  
 მე ვარ რისხვა ელვა — ჩქარი,  
 ვარ ვაგლახი — სატკივარი  
 შხამიანი — საშიშარი.

მძაგს ლაჩარი, რომელიც რომ  
 ემაღება ბრძოლის ველსა,  
 და სამშობლო, სათაყვანოს  
 სულ არ აძლევს ხსნას-საშველსა.

მე არ მახსოვს დედის სახე  
 არც ალერსი მშობლიური  
 ნუ დამძრახავთ, რომ ამ გულში  
 ინახება მტრობა — შური...



გავჩენილვარ ჯოჯოხეთში  
სატანის რძით გამოვზრდილვარ,  
ბრძოლის უნი გულთ დამაქვს,  
ბრძოლით ჯერ მე არ მოვლილვარ.

ვისაც ჩემთვის ერჩის გული  
და სამშობლოს შელახვისთვის,  
ლაზვარი მაქვს ამართული  
ჩასაცემად გულში მისთვის.

საქართველოს ვანაცვალებ  
ჩემს სიცოცხლეს, ჩემს თავს ობოლს  
არ იფიქროთ უღალატო,  
ჩემს სამშობლოს, ჩემს სამშობლოს.

ა. კლიმიაშვილი.

### წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში შემდეგი: მე-7 ათასეულის პირველი გუნდის ჯარის-კაცებმა ვადმომცეს 315 მანეთი, რომლითაც იმათ დაუჯარიმებიათ ბანქოს მოთამაშე ამხანაგები. აღვნიშნავ ამ ფაქტს როგორც მისაბამ მაგალითს და იმედს გამოვსთქვამ რომ სხვა ნაწილების ჯარის-კაცებიც მიბაძავენ მას. ამასთანავე გირდგენთ აღნიშნულ ფულს და თანახმად ჯარის-კაცების სურვილისა გთხოვთ გადასცეთ მე-7 ათასეულის სამკითხველოსათვის. ამავვე მიზნით შემდეგმა სანაკაქე შქმისურა 40 მანეთი

### ბანმარტმზის ბანმარტმზა.


ბ-ნო „მხედრის“ რედაქტორო!

ჩემს შეკითხვაზე „საქართველოს“ № 150-ში, თქვენ იმავე გაზეთის № 153, მიპასუხებთ და სხვათა შორის სწერთ: მოგყავთ სიტყვები: „კატეგორიული ბრძანება მივიღე სექციის ზოგიერთ წევრებისაგან ჟურნალში არ იბეჭდებოდეს ალ. გორგაძის წერილი“, აქ თქვენ უმატებთ სიტყვას „სექციის“, რომელიც მე წერილში არ მომიხსენებია სრულიად

### წერილი რედაქციის მიმართ.

მეც თვითონ ვიცოდი, რომ სექციის წევრები იყვნენ, შეიძლება რომელიმეზე ვფიქრობდი. თქვენ თვითონ არ უარყოფთ და ამბობთ: აბეზარ საუბრის დროს ჩემს ბინაზე, სექციაში თუ ქუჩაში, შესაძლოა განვაცხადო კიდევ, რომ „შენი წერილების ბეჭდვა აღკრძალული მაქვს მეთქი, მაგრამ სექცია აქ არაფერ შუაშია. ამაზე კი ვიპასუხებთ მე თვითონ ვიცი რომ სექცია არაფერ შუაშია და სიტყვა „სექცია“ არც მე მომიხსენებია ჩემს წერილში. როგორც თქვენ თვითონ არ უარყოფთ მე სწორედ ეჭვი მეპარებოდა, რადგანაც თქვენ თვითონ სწერთ და აღიარებთ „მიშლიანო“ და, სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ჩემი ეჭვიანობა მხოლოდ. და ეხლაც გაუგებარი რჩება ჩემთვის თუ ვინ გიშლიდათ. თქვენ ეხებით ჩემს პსიხოლოგიას და სხვათა შორის მახსიათებთ „ხალი იან მესაუბრეთ“. თქვენვე მოგწონებიათ ჩემი შეხედულება ჯანსაღობა და სხვა, რომლის გაზეთების ფურცლებზე აღნიშვნა ჩემის აზრით ზედმეტია, თქვენ უნდა გცოდნოდეთ რომ, რომანს კი არ სწერდით რომელიმე გვირის შესახებ, არამედ ვალდებული იყავით მხოლოდ ვეპასუხათ ჩემს შეკითხვებზე. ჩემს დაბეჭდილ წერილებს რომ ეხებით, მე არ უარყოფ ზოგიერთი დაიბეჭდა, მაგრამ იმ „მიშლიანო“, რომ მითხარით მერე კი აღარ დაბეჭდილა, და სწორედ მხოლოდ ამან გამოიწვია ჩემი ეჭვიანობა. იმ სიტყვის შემდეგ უნდა გაგახსენოთ რომ, დაიბეჭდა მხოლოდ მოხსენებები, რომელიც მე მთავარ ხელმძღვანელს წარუდგინე.

მაგრამ უნდა აღვნიშნო რომ, დაუბეჭდავ წერილებისათვის მე არა ერთჯერ მოგმართეთ ივანე ხირსელის პირით, რომ უკან დაგებრუნებინათ, მაგრამ მათ დაბრუნებას ვერ ველირსე, აი, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ შეგეკითხეთ: რა მიზეზია უკან არ მიბრუნებოქო, იქვე სწერთ ალ. გორგაძე ცოტა განდიდების მადა უნდა მოსდევდეს და დენილოზობითაც, რომ არის შეპყრობილი, უტყუარია“. აქვე იძლევით პასუხს და სწერთ „საიდან წარმოიშვა ან ერთი ან მეორე და მოგყავთ შემდეგ ჩემს მიერ დაუმსახურებელი ფაქტი: „ვითომც მგოსან გიორგი ქუჩიშვილის ვადმოცემით, ვინმე კაპიტან ალ. გორგაძესთვის ვ, საათაშვილმა გადასცა სამხედრო ჟურნალში დასაბეჭდათ პატარა მოთხრობა, რომელიც ამ კაპიტანის ხელში „დაიკარგა“ ვ. საათაშვილის გარდაცვალების შემდეგ მოთხრობა „მაკულას“ სახელით ცალკე წიგნით დაიბეჭდა სულ სხვა ავტორის და ვვარით დაქვს ვა-



რი ძალიან წაგავს ალ. გორგაძეს, არ ვიცი ეს გორგაძე კაპიტან ალ. გორგაძეა თუ მისი მოგვარე? აი, ამ ჩემს მიერ დაუმსახურებელ ფაქტის შესახებ შემდეგი ვსთქვა. თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ მე ვცემდი თქვენ რედაქტორად მოწვევამდე ძველ ჟურნალ „მხედარს“, სანამ თქვენი ჟურნალი გამოვიდოდა თქვენი პასუხსმგებელ რედაქტორობით, მე ვიყავი იმ ძველ ჟურნალის გამომცემელიც და რედაქტორიც, უნდა აღვნიშნო რომ, იმ ჟურნალს უფრო კერძო ხასიათი ჰქონდა, რადგანაც მაშინ არც სექცია იყო დამტკიცებული წერილები რასაკვირველია ჩემთან მოდიოდა დასაბეჭდავთ მე არ უარვყოფ მოიტანა აგრეთვე ლეგენდალური წერილი ვ. საათაშვილმა, მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო „მოთხრობა“ როგორც თქვენთვის ვადმოუციათ. რადგანაც მისი წერილი არ იქნა გაშვებული სიდიდისა გამო და ჟურნალი კიპატარა ფორმატით გამოდიოდა მე მას უკანვე დაუბრუნე. მისი სიკვდილი ჩემთვის გაუგებარი იყო რასაც ახლა არ ვგებულობ. იმის წერილს არავითარი კავშირი არ ჰქონია ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებასთან, რომლის სიუჟეტია ჩემს მიერ გამოცემული და შედგენილი მოთხრობა „შაგულაში“ მან უკანვე წაიღო მოთხრობა და ვითომც ის აზრი რომ, ჩემთან „დაკარგულიყოს“, ტყუილია. მე კი ვიტყვი პატარა პატარა მოთხრობების წერა ჩემს მიერ პირველი არ არის, რომელსაც დამოწმებს თუგინდ 1918 წ. 1919 წ. „ნაკადულში“ მოთავსებული პატარა მოთხრობები და შთაბეჭდილებანი. მუსულმანთა ცხოვრებას რომ ვაცნობოდი და სიუჟეტიც იქიდან ვადმომელო ამას მოწმობს თუგინდ ჩემი წერილები ოსმალეთის ასპარეზზე ყოფნის დროს დაწერილნი, რომლებიც ბლომად არის გაფანტული „სახალხო ფურცელი“ „საქართველოს“ 1916 წლის და 1917 წლის ნომერში. ეხლაც ვწერ პატარა-პატარა მოთხრობებს და სხვათა შორის მაქვს დამზადებული დასაბეჭდავთ მოთხრობა „ყაზარმაში“, რომელსაც სულ მოკლე ხანში გამოუშვებ. უნდა იცოდეთ, თქვენც და ქუჩიშვილმაც თუ მართლა ვადმოგცათ რომ მას ვისაც არ დაუწერია რამე, მიღლები ვერ დაწერს. მე მიწერია და კიდევაც ვწერ მხოლოდ მათ ღირსებაზე რა მოგახსენოთ. ეს კი კრიტიკის საქმეა. ხოლო რაც შეეხება პოლკოვნიკ ასათიანის ლექსებს, მანაც ვადმომცა, მაგრამ მე ის ჟურნალში ვერ გაუშვი და რომ დროზე მოეკითხა ჩემთვის მასაც ისე დაუბრუნეთ როგორც დაუბრუნე გარდაცვლილ საათაშვილს. თქვენ თვითონ კარგად იცით რედაქცია სამუდამოთ ვერ შეუწახავს დაუ-

ბეჭდავ წერილებს და ისიც იმ შემთხვევაში ი.უ თვითონ პატრონი არ მოიკითხავს სანამ არის ის პასუხი და განმარტება რაც უნდა დამეწერა. ამ ჩემს განმარტების შემდეგ თუ ვინმე იფიქრებს და ეჭვი კიდევ რამეში შეეპარება მიმართავენ ასეთნი პირნი ოფიციალურ სასამართლოს, სადაც მე შეძლება მექნება ჩემი სიმართლის დამტკიცებისა.

კაპიტანი ალ. გორგაძე.

კაპიტან ალ. გორგაძეს საშუალებას ვაძლევთ პასუხის გაცემისას და ამ წერილს სრულებით უცვლელად ვბეჭდავთ, მით უმეტეს რომ ეს წერილი არც ერთმა რედაქციამ არ დაუბეჭდა.

საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ კაპიტან ალ. გორგაძის გარეგნობის აღწერა შემთხვევით კი არ მოგვსვლია, გვინდოდა მიგვექცია მისივე ურადლება რომ ასეთ ჯანსაღ სხეულში შესაფერი ჯანსაღი სული არა სადგურობს, თორემ ჩემი მოთხრობის გმირად რომ იგი არ გამოდგებოდა, ეს თვითონაც უნდა იცოდეს.

მეორე, მე არამც თუ ის ვიცი რომ ალ. გორგაძე ბევრსა სწერს, არამედ ისიც ვიცი რომ ერთი და იგივე „ნაწარმოები“ ერთსა და იმავე დღეს სხვა და სხვა გაზეთში მოუთავსებია.

რაც შეეხება „შაგულას“ უნდა ვაღიარო, რომ მგოსან გ. ქუჩიშვილს უფრო ვერწმუნები, ვიდრე კაპიტან ალ. გორგაძეს, თუმცა ამის თაობაზე მე ოფიციალ სასამართლოში საჩივრის აღძვრას სრულებით არ ვაბირობ როგორც ამას გვირჩევს კაპიტანი ალ. გორგაძე, ვფიქრობ კი რომ მცირეოდენი პატივისცემა უნდა ვიქონიოთ სხვის ნაშრომთან, მით უმეტეს, რომ განსვენებულს ვ. საათაშვილს ცუდი ჩვეულება ჰქონია და შეუწახავს „შაგულას“ დედანი, რომელიც ეხლა ჩემთან არის.

დაბოლოს უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირველი და უკანასკნელია ასეთი წერილების ბეჭდავ ჩვენს ჟურნალში.

ნ. კურდღელაშვილი.

პასუხის მგებელი რედაქტ. ნ. კურდღელაშვილი.